

მზის ენერჯის ეფექტურობის ჩამწერი სისტემა

დავით ხვითია, ედუარდ მრდოიანი, გიორგი გოგოლაძე, გიორგი პაპუაშვილი

ელ-ფოსტა: davit.khvitia408@ens.tsu.edu.ge

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ

და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა

ფაკულტეტის ელექტრული და

ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტი

ჩვენი პროექტის დახმარებით შევძლებთ გავარკვიოთ თუ რამდენად მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტი ექნება კონკრეტული მზის პანელების სისტემას. ამ პროექტის ძირითადი მოტივაციაა, რომ დაეხმაროს ნებისმიერ კლიენტს, კომპანიას თუ უბრალოდ ენთუზიასტს გაარკვიოს თუ როგორი რამდენად ეფექტური იქნება მზის პანელების სისტემის აწყობა მათ ტერიტორიაზე, ასევე ამ მონაცემების ერთად აკინძვით შესაძლებელი იქნება შეიქმნას ერთგვარი რუქა, რომელიც ასახავს მზის ეფექტიურობას გარკვეულ რეგიონებში სადაც უკვე ჩვენი პროექტი იქნება **ამოყენებული**.

ჩვენი პროექტი მოიცავს სამაგიდო მაკეტის გაკეთებას, სისტემა რომელიც იქნება თვალსაჩინო, კომპაქტური და უნივერსალური, სურვილისამებრ შესაძლებელი იქნება სისტემის მასშტაბებში გაზრდა რომ დაკმაყოფილდეს კონკრეტული სიტუაციის მოთხოვნები. ჩვენი სისტემა შედგება პროგრამული და ელექტრონული ნაწილებისაგან სადაც ელექტრონული ნაწილი უზრუნველყოფს ამ სისტემის ენერჯით მომარაგებას ხოლო პროგრამული ნაწილი ჩაიწერს ჩვენთვის საჭირო მონაცემებს. ენერჯია მიიღება მზის პანელიდან, რომელიც შეინახება ბატარეებში და ბატარეა გამოკვებავს პროგრამულ ნაწილს, რომელიც Arduino -ს მეშვეობით ჩაიწერს მზის პანელის ეფექტურობის მონაცემებს.